



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011724561929921

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

131492

26 / მარტი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 133661/17; თარიღი: 22.03.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: ხატია ქაჯაიას (პირადი ნომერი 01027058427) წარმომადგენელი ნანი წიქარიშვილი (პირადი ნომერი 01013016772).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური (შემდგომში - ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882021118679-04 (25.02.2021) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმება და უძრავ ნივთზე აღნაგობის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია.

№882021118679 სარეგისტრაციო განცხადებით ხატია ქაჯაიას წარმომადგენლის ნანი წიქარიშვილის მიერ მოთხოვნილია მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.10.14.028.097; 76/230 ნაწილი) ამხანაგობა „საბურთალო №51“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი 205297230) აღნაგობის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია.

№ 133661/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემონმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. ამ კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა ნ წ ვ ე ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში ხატია ქაჯაიას წარმომადგენლის ნანი ნიქარიშვილის 2021 წლის 22 მარტის №133661/17 ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩაბმულ იქნეს ამხანაგობა „საბურთალო №51“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 205297230).
3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მას თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმულ დაინტერესებულ მხარესა და ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს.
4. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.
5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;
6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;
7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

